



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბააზოვი გერცელ დავითის ძე



ბააზოვი გერცელ დავითის ძე (28. X. 1904, ცხინვალი, – 1938), მწერალი.

დაიბადა ებრაელი სას. პირის ოჯახში. სწავლობდა ონის სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ თბილ. სათავადაზნაურო გიმნაზიასთან არსებულ ჰუმანიტარულ ტექნიკუმში. 1927 დამთავრა თსუ-ის სოც.-ეკონ. ფაკ-ტის იურიდ. განყ-ბა. ერთხანს მოსამართლედ მუშაობდა, შემდეგ იყო უურნ. „საბჭოთა სამართლის“ მდივანი. 1918 ქუთ. გაზ. „ებრაელის ხმაში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები.

გ. ბააზოვი

1921-22 მხატვარ უ. ჭაფარიძესთან და თეატრმცოდნე დ. ჭანელიძესთან ერთად გამოსცა ლიტ. ჟურნ. „ონი“ (ინიციატორი იყო „ცისფერყანწელი“ პოეტი გ. ჭაფარიძე). 1923 დამკვიდრდა თბილისში. აქაურ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მისი ლექსები, წერილები და თარგმანები. 1924-25 ბ-ის ინიციატივით დაარსდა ქართვ. ებრაელთა თვითმოქმედი დრამ. დასი „კადიმა“. ბ-ის პირველი დრამ. ნაწარმოები იყო აღმოჩენილ-სიმბოლური ხასიათის დრამა „დილლეამარი“ (1928, ცალკე წიგნად 1929). ერთსულოვანი აღიარება მოუტანა ბ-ს ქართვ. ებრაელთა ყოფა-ცხოვრების ამსახველმა პიესამ „მუნჯები აღაპარაკდნენ“ (1931; დაიდგა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში 1931-32, ცალკე წიგნად გამოვიდა 1937). მორალის პრობლემები წარმოაჩინა პიესაში „განურჩევლად პიროვნებისა“ (1933). ისტ.-რევ. ხასიათისაა პიესა „იცკა რიუინაშვილი“ (1936). დაწერა აგრეთვე პიესები „ხაგაი“, „შავი ზღვის პირას“; საბავშვო პიესა „ჭინჭარი“ (იდგმებოდა თბილ. მოზარდ მაყურებელთა თეატრში) და სხვ.

ბ-ის პროგაული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია მოთხოვები „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“ და „გელათის ქუჩის დასასრული“ (ორივე 1931), ტრილოგიად ჩაფიქრებული რომანი „ფეთხაინი“ (1934, I ნაწ. რესულად 1936) და სხვ.

საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

თხზ.: ფეთხაინი, თბ., 1960; პიესები, თბ., 1962.

ღია: ც ი ც ი შ ვ ი ლ ი გ ., გერცელ ბააზოვი, ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1964.

გ. ციციშვილი
